სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/110

ქ. თბილისი 19 ივლისი 2024 წ.

სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე SMART|Lab: სამედიცინო გამოსახულების ტრენინგ ლაბორატორიის (SMART| Medical Imaging Training Lab) შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 25 ივნისის სხდომის №7 ოქმის, ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 2 ივლისის სამსახურებრივი ბარათისა (MES 8 24 0000790786) და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 19 ივლისის №01-05-02/21 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე შეიქმნას სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - SMART|Lab: სამედიცინო გამოსახულების ტრენინგ ლაბორატორია (SMART| Medical Imaging Training Lab).

2. მოწონებული იქნეს SMART|Lab: სამედიცინო გამოსახულების ტრენინგ ლაბორატორიის (SMART| Medical Imaging Training Lab) დებულება და ლაბორატორიის შექმნასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტის საშტატო განრიგსა და დებულებაში (დანართები).
3. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**